ხუთშაბათი, ივლისის 12 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 128

ჩვენი ქვეყანა

ყოველ ერ ერ ერ ... ...

რედაქცია

ხელნაწერი უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **ხამგლოვიარო განცხადება:** სამუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ... № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

...ელის მომგზერთა საყურადღებოთ

...ცხადებთ როგორც ქუთაისის, ისე პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი 10 ივლისის შემდეგ აღარ მიუვათ იმ პირთ, რომელთაც გაზეთის დასაკვეთი ფული გადახდილი არა აქვთ. პროვინციის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ფული გამოგზავნონ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის სახელზე. ვისაც 10 ივლისს გაზეთის ფასი სრულიად გადახდილი არ ექნება, მას გაზეთის გზავნა შეუწყდება და ფულის ასაღებათ ზომები იქნება მიღებული.

12 ივლისს, პეტრე-პავლობას, სოფ. პატარა ჯიხაიშში გადახდილი იქ ნება წირვა და პანაშვიდი 9 თებერვალს ახალციხის ფრონტზე გმირულად დაღუპული საპიონრთა ბატალიონის კაპიტანის

გიორგი დავითის ძე მიქელაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ და მეგობართ დედინაცვალი ანატე ნანეიშვილის ასული მიქელაძისა, ძმა ევსევი დავითის ძე მიქელაძე, დები: მარო და ვერიჩქა ლორთქიფანიძისანი.

12 ივლის ახ. სტ. საფირჩხიის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ფოტინე დავითის ასულის ქვარიანისა.

რასაც გაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: მიშა, კოლია, დათიკო, მათიკო და ნუცა ქვარიანები. მაშურა ხიდირბეგიშვილისა და სიძე ანეპოდისტე ხიდირბეგიშვილი. 1—1

13 ივლისს (ძვ. სტ. 30 ივნისს) სოფელ გუბში მაცხოვრის ეკლესიაზე გადახდილი იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი კაპიტანი

მიშა ნესტორის ძე ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მშობლები პასიკო და ნესტორი, ძმა ვენედიქტე მეუღლით, დები, პასიკო, ძაძუ და შუშანიკა, ძმის შვილები ზინა და ლუბა, ბიძეები მელიტონ და სერაპიონ როსაპის ძე ნიჟარაძეები მეუღლეებით და ბიძაშვილები დათიკო და კოლია. 1—1

ზეკარ-ოსეთის სამხედრო გზა-ტკეცილების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას მკათათვის 13-ს მთავარ ანგელოზის ეკლესიაში იქნება გადახდილი 40 დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის ინჟინერ

ალექსანდრე მიხეილის ძის ცაგარლის

სულის მოსახსენებლათ. 1—1

კურსების გოგირდის აბანოები.

ძმ. უგრეხელიძეების (ყოფილი არჯევანიძეების) კურსების გოგირდის წყლის აბანოების სეზონი გაიხსნა 5 ივლისიდან. აბანოები არსებობს სოფ. კურსებში არჯევანიძის პლატფორმასთან (ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგი) აბანოებთან მოწყობილია ოთახები და ბუფეტი. წყალი ვანებისათვის ყოველთვის მზად არის.

მოიჯარადრეები ძმ. უგრეხელიძეები.

ვილგელმის გასამართლება.

საერთაშორისო კონფერენციის სულის ჩამდგმელმა პირებმა ვილსონ, კლემანსო, ლოიდ ჯორჯმა დაადგინეს, რომ ამ მოკლე ხანში ლონდონში მეფე ვილგელმი გაასამართლონ.

სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურნი—გამომხატველნი თავიანთი სახელმწიფოში დამყარებული რწმენა-შეხედულებისა, ვილგელმს აბრალებს დიდი და გამანადგურებელი ომის დაწყებას.

ბრალდებაც მძიმეა და პასუხის გებაც დიდია; სამართალი საინტერესოა, თუ სამსჯავრო სამართლიანი იქნება და განაჩენი კანონიერი. ყოველ შემთხვევაში საქმის გარჩევა საყურადღებო იქნება და ბევრ რამეს გამოარკვევს.

ვილგელმი თავიდანვე ამბობდა, ომს ვიწყებ და ვაწარმოებ, მაგრამ მიტომ რომ მაიძულებენო. ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ვილგელმი გადაჭრით ამბობდა, თუ მოწინააღმდეგენი ისურვებენ მზათ ვარ ომი შევსწყვიტო და ზავზე ვილაპარაკოთ; ვილგელმი ყოველთვის ხაზ გასმით ამბობდა, ისტორიისა და კაცობრიობის წინაშე ომის გამო გამოწვეულ უბედურებაში პასუხისგებას არ ვღებულობ, რადგან ომის მიზეზი მე არა ვარო.

მართლაც საქმეს კარგი გარჩევა უნდა, რომ ბრალდებულის სახე გამოირკვეს, ყოველი გარემოება გამოსააშკარავებელია, რომ ცხადი სიმართლე ქვეყანამ გაიგოს და ისტორიას ჭეშმარიტი შედეგი გადაეცეს.

ამ ომის გამო აუტანელი ტანჯვა დაეწვა ქვეყნიერებას, უანგარიშო ზარალი მიეცა მთელ ქვეყანას.

ომის დაწყებაში და მის ასე მკაცრი სახით წარმოებაში რა თქმა უნდა, ვინმე დამნაშავეც არის და პასუხის-მგებელიც, მაგრამ ყველა სხვისკენ იშვერს თითს.

საკვირველია ადამიანის ბუნება, ადამიანი რაც უნდა ცუდ საქმეს ჩადიოდეს, მიზეზი მაინც თავის თავი არ ჰგონია, ადამიანი რაც უნდა დამნაშავე იყოს, თავის გამართლება მაინც უნდა, ადამიანი მოსამართლეთ სუსტია, თუ ის ხშირათ საქმის გარჩევაში სხვას—მეორე პიროვნებას მიუდგება, მით უმეტეს თავს არ გაიმტყუნებს. ყოველ შემთხვევაში ადამიანს თავის გასამართლება და სრული მიუდგომლობა მეტათ უძნელდება. ამ შემთხვევაში გამონაკლისი მეტათ იშვიათი შემთხვევაა.

ვილგელმის გასამართლება საყურადღებოა, არა იმიტომ, რომ პირადათ მისი საქმე გადაწყდეს, არა იმიტომ, რომ გერმანიის პოლიტიკა გამოცხადდეს, არც იმიტომ, რომ თუ ის მართლა დამნაშავეა-ეს გამოირკვეს და დაისაჯოს, რომ ამით სამართლიანობის ერთგვარი დაკმაყოფილება მოხდეს, ყოველივე ესეც საგულისმოა, მაგრამ ვილგელმის გასამართლება მით უფრო საყურადღებოა, რომ იმ სახელმწიფოთა საიდუმლოება გამოირკვევა, რომელნიც ბრალდებულის სკამზე სხვას აჯენს და თვითონ მოსამართლის ადგილს დაბძანდება. ბრალდებულის პასუხი ბევრ რამე ახალს ეტყვის კაცობრიობას. არა ერთი და ორი ომი დაიწყო და დათავდა ისე, რომ მართალი და მტყუანი არ გამოჩდა. სხვას რომ თავი დავანებოთ ბეცხრამეტე საუკუნის ომების ვიფარებაც ბნელით მოცულია. ომში გამარჯვებული-ზავში დამარცხებული გამოდის და ომში დამარცხებული—ზავში გამარჯვებული. ყოველივე ეს მიტომ, რომ დიპლომატიის ხიყალბემ სამართლიანობა დაახრჩო.

ყველაფერზე უფრო ადამიანის სინიდისს და ზნეობრივ შეგნებას ის აწუხებს, რომ ბოროტი მხარე გარეგნულათ განართლებული რჩება; უდანაშაულო ისჯება და ნამდვილი დამნაშავე მოხერხებით ფრთა შესხმული დაუსჯელი რჩება.

ეჭვს გარეშეა, რომ ბევრი რამ სამარცხვინო საიდუმლო მოსამართლე სახელმწიფოების და მით უმეტეს რუსეთის გამომჟღავნდება ვილგელმის გასამართლების დროს. ეს საყურადღებოც არის და მომავალისთვის საჭიროც. ასეთი გასამართლება სასარგებლოც იქნება.

ტრიფონ ჯაფარიძე.

პრესა.

სომხეთის მართველი წრეების პოლიტიკა საქართველოსადმი და ქართველი ხალხისადმი ყოველთვის სამტროდ იყო მიმართული. მიუხედავათ დიდი მეცადინეობისა რომ გამონახულიყო ისეთი ენა, რომლის საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო ერთგვარი შეთანხმება და სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა, სომხობამ არ მოისურვა ეს და კრიტიკულ მომენტში ჩვენს საწინააღმდეგოთაც ემზადებიან.

კერძოთ ჩვენ არასოდეს ეჭვი არ შეგვპარვია, რომ სომხეთთან კეთილ მეზობლური განწყობილების დამყარება შესაძლებელი ყოფილიყო. ამის საბუთებს გვაძლევდა თვით სომხეთი და მისი მართველი წრეები. მიუხედავათ ამისა ჩვენი სოციალ-დემოკრატია ქათინაურებს სთავაზობდა არარატის რესპუბლიკას, მაგრამ მართველი პარტიაც დარწმუნდა ერევნის მთავრობის თაღლითობაში, განსაკუთრებით შულავერისა და სანაინის ოპერაციების და ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენციის ჩაშლის შემდეგ, რაც სომხების წარმოამადგენლებმა გამოიწვია.

უკანასკნელ ხანებში სომხეთმა კვლავ აღძრა საკითხი კონფერენციის განახლების შესახებ, მაგრამ მოსალოდნელი კონფერენციაც ვერ ასცდება სომხის ორპოფულ პოლიტიკას და უეჭველია თუ ეს კონფერენცია მოწვეულ იქნა ისე უნაყოფოთვე ჩაიშლება, როგორც პირველი კონფერენცია.

სოციალ დემოკრატიული პარტია მაინც შესაძლებლად სთვლის ჩვენსა და სომხეთის შეთანხმების. გაზეთი ერთობა (№ 152) ამის შესახებ სწერს:

„ჩვენ უნდა მოველაპარაკოთ იმას, ვისაც ამის უფლება აქვს. სომხეთთან შეთანხმება—ერთი მთრიგი საკითხთაგანია, მეტათ მნიშვნელოვანია მათი და ჩვენი დემოკრატიისათვის.

მიუხედავათ იმისა, თუ როგორია მართველი წრეების პოლიტიკური რწმენა, მოლაპარაკების ცდა აუცილებელია ჩვენ შორის რომ სიდავო საკითხები, განსაკუთრებით გამიჯვნის საკითხი, ოდნავ მაინც იქნეს წინ წაწეული მოლაპარაკებით, და მას გარეშეთა ჩაურევლათ ერთთმანეთთან შეთანხმებით გადაჭრის გზა გაეხსნას, დიდათ მნიშვნელოვანი იქნება ორივე მხარესთვის ევროპის სამსჯავროს წინაშე.

ჩვენ გვწამს, რომ სომხის მართველი წრეები გაუწევენ სათანადო ანგარიშს შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას და საღი, ხალხის ინტერესების თვალსაზრისით შეთანხმების გზას გამონახავენ, ამ მიზნით ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა მთავრობამ გადაადგას ნაბიჯები ამ ორი რესპუბლიკის მოსალაპარაკებლათ. ჩვენ გვინდა, რომ რამდენიმეთ მაინც გაიწმინდოს ის ატმოსფერა, რომელიც არა ნორმალურათ ურთიერთობას ქმნის ამ ორი ერის დემოკრატებ შორის.

მართველ პარტიას კიდევ არ სჯერა, რომ სომხებთან ყოველგვარ შეთანხმებაზე ლაპარაკი ზედმეტი და წყლის ნაყვაა. რამდენჯერ არ მოვინდომეთ რომ სადავო საკითხები შეთანხმებით ყოფილიყო გადაჭრილი, მაგრამ სომხების პრეტენზიებს საზღვარი არა აქვს.

გერმანული პრესის ცნობები

საქ. დეპ. სააგენტო.

ვენის გაზეთებმა ვამოაქვეყნეს ცნობები, ვითომ უნგრეთის კომუნისტების ვენის ალების გეგმა შეედგინოთ მაშინ, როდესაც უნგრელებს მხოლოდ 14,500 თოფი, 100 ტყვიისმფრქვეველი და 100 ზარბაზანი ჰქონდათ. ვენიდან გაქცეულმა უნგრეთის რამდენიმე საზოგადო მოღვაწემ მოკავშირეებს სთხოვა, ვენა გაანთავისუფლონ ბოლშევიკების ბატონობისაგან, დაეხმარნენ იმ უნგრელებს, რომელთაც ბელაკუნთან საერთო არაფერი აქვთ და წესიერების აღსადგენად ზომიერი სოციალისტური მთავრობა შექმნან უნგრეთში.

გაზეთები უკომენტარიოდ აფთავსებენ ცნობებს იტალიაში მოძრაობის ზრდის და იმის შესახებ, რომ ფლორენცია მუშების ხელშია.

გერმანიის დელეგაცია კლემანსოსთვის გაგზავნილ ახალ ნოტაში ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას. რომ ლატიშების და ესტონელების შორის დაწყებულ ბრძოლის გამო ლიფლიანდიას. და რიგაში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ში თეოდორ ვოლფი სწერს, რომ კაიზერის საქმის დაწყებით მოკავშირენი სამართლიანობას არღვევენ და დაბრკოლებებს ქმნიან. ამავე საგნის შესახებ „ფორვერსტი" აცხადებს, რომ მოკავშირენი კაიზერის გავლენას აძლიერებენ ამით. კაიზერის საკითხში ინგლისის მიერ გამოჩენილ სიმტკიცის გამო მართლდება ხოლო გერმანელების აზრი, რომ ინგლისი ყველაზე შეურიგებელი და საშიშო მტერია გერმანიისთვის. გერმანიის პასუხისმგებლობის

ყველა საბუთები რომ განიხილონ, გერმანიის მტრებიც კი დარწმუნდებიან, რომ მარტო გერმანია არ არის პასუხისმგებელი.

სილეზიის ქალაქ კატოვიცაში კვირას ღამისით დიდი არეულობა მოხდა. გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგები გენ. ჰალერის ჯარის მიერ ზემო სილეზიის დაჰყრობის გამო, რომელზედაც მოითხოვეს, რომ ზემო სილეზია ამერიკის ჯარმა დაიპყროს. კატოვიცის მიდამოებიდან 4000 პოლონელი მოვიდა დემონსტრაციის ჩასაშლელად. ისინი ქალებს და ბავშვებს დროშებს ართმევდენ და ტრიბუნიდან ორატორებს სდევნიდენ. არეულობა 1 საათს გაგრძელდა, ვიდრე ჯარი რა მოვიდა. ბევრია მოკლული და დაჭრილი.

რკინის გზელების გაფიცვა გერმანიაში, როგორც სჩანს, მალე გათავდება.

ლიონიდან იუწყებიან, რომ ბერლინში პირველად სცადეს ნოსკეს ჯარის განდევნა. სამხედრო დიქტატურის შესაძლებლობის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუშათა საბჭოს აღმ. კომიტეტმა ვადასწვიტა ამ ჯარს ბოიკოტი გამოუცხადოს. ამიტომ ნოსკენ მომხრენი იძულებული გახდნენ მოხალისეთა ჯარში დარჩმა. ლიყვნენ მუშებმა მათ წინათ განუცხადეს, რომ მათთან მუშაობა არ სურთ; ეხლა კი შეურიგდნენ და მათ უთხრეს: „დაბრუნდით და ჩვენთან იმუშავეთ“. ამის შესახებ ამბობენ, რომ მუშებს ამით სურთ ნოსკეს ძალა ჩამოაშორონ იმ შემთხვევისთვის. თუ მუშები გაიფიცნენ ან აჯანყდნენ. მუშები მდგომარეობა გაუმჯობესდა. მთავრობის აზრით წესიერი მოძრაობა ვერ იქნება აღდგენილი, თუ მის დროს გაფუჭებული რკინის გზის ლიანდაგი არ შეაკეთეს. მართველობა კვლავინდებურად ნოსკეს მტკიცე ხელშია. ბრავალ მუშას სძულს არსებული რეჟიმი.

ახალი ამბავი

იტალიელები. ამ დღეებში ქუთაისში მოელიან იტალიელთა ჯარს.

ქრება. ორშაბათს 14 ივლისს, საღამოს 7 საათზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში გაიმართება გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ფონდის გასაძლიერებელი საღამოს მომწყობი კომისიის სხდომა. კომისიის წევრებს და იმ პირებს ვინც წინა სხდომებზე დაესწრო ვსთხოვთ აუცილებლად მობრძანდენ.

ოფიცრების დაპატიმრება. შუა უბნის კომისრის თანაშემწემ შეიპყრო ოფიცრები ბოპორიშვილი და კოლუაშვილი, რომლებმაც ქუჩაში დასჭრეს ნემსაძე და შემდეგ გაიქცენ.

ლონდონიდან ჩამოსული გენერლები. ამ დღეებში ლონდონიდან თბილისში ჩამოვიდა ინგლისელთა საევაკუაციო კომისიის წევრებთან 2 გენერალი, რომელთაც დავნელებული აქვთ დაჩქარონ ამიერ-კავკასიიდან ინგლისეთ ჯარების გაყვანა. ამ დღეებში გენერლები დენიკინის ასპარეზისაკენ გაემგზავრებიან.

ქალაქის ბიბლიოტეკა. ქალაქის ბიბლიოტეკა გადავიდა ახალ ბინაზე, წმ. ნინოს სასწავლებლის შენობაში ბიბლიოტეკა მოქმედებას დაიწყებს ამ ორი თვის შემდეგ.

სიმინდ-ს ფქვილი. ამ ჟამად ბაზარზე ფუთი სიმინდის ფქვილი 130 მან. ფასობს.

ჩინელის დაჭრა. სამშაბათს 8 ივლისს ქვიტირის ქუჩის განაპირას მცხოვრებმა მეკალბასე ბიკენტი კვერნაძემ, დანით სასიკვდილოდ დასჭრა სრულიად უდანაშაულო ჩინელი. დაჭრილი მოათავსეს საავადმყოფოში.

მონოგრაფია ფიროსმანაშვილზე. ფინანსისტების ჯგუფი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ქართული ხელოვნების აყვავებით აქვთ გასდონ 50,000 მან. მხატვარ ფიროსმანაშვილს მონოგრაფიის გამოსაცემად. მონაგრაფიის შედგენა მონდობილი აქვს კირილე ზდანევიჩის.

წიგნის გამოცემა. წიგნების გამომცემელი ამხანაგობა „კირჩხიზი“ ამზადებს გამოსაცემად **პოეტი ვალერიან გაფერინდაშვილის** პირველ წიგნს.

თეატრი-მონიატური. მზადდება დასადგმელად ოპერეტა ტიროლის ტურისთა ცხოვრებიდან; როზენშტოკ და ედელვეის“.

მოწოდება სახ. მასწავლებლებისადმი. ქუთაისში 20 კვირიკობისთვეს დანიშნულია ქუთაისის მაზრის სახალხო მასწავლებელთა საერთო ყრილობა. განსახილველია სამაზრო კავშირის დაარსების საკითხი და სხვადასხვა მიმდინარე საკითხები. ყველა მასწავლებლების დასწრება აუცილებელია.

მომწვევი კომისია

პშემახო კოცევის დაპატიმრება.

როგორც ბაქოს გაზ. „მოლოტი“ იტყობინება, პეტროვსკში დაუპატიმრეს მოხალისეებმა მთიელთა კავშირის რესპუბლიკის მინისტრთა ყოფილი თავმჯდომარე პშემახო კოცევი.

მოხევეთა დელეგაციის თხოვნა.

ამ დღეებში მთავრობას უნდა წარდგომოდნენ ხევის წარმომადგენელნი: მღვდელი ღუდუშაური და ალექსანდრე ფიცხელაური რომელთაც სიმინდით დახმარება უნდა გაეწიათ დამშეულ მოხევეთათვის.

ამ გვარი მუდმივი დახმარება აღუთქვა დუშეთის მაზრის ერობის წარმომადგენელმა ბ. ჩიმაკაძემ თბილისშივე იმ პირობით, რომ სიმინდის ნაცვლად მათ ჩაბარონ მატყლი.

საუბედუროთ საქმე იმაშია, რომ ის ღარიბნი, შიმშილით შეწუხებულნი, რომლთაც მატყლი არ მოეპოვებათ, უპირობით უნდა მიეცეა სიმშილს. ამიტომ დელეგაცია პრესის საშუალებით სთხოვს მთავრობას კეთილ ინებოს და ვიდრე ამ განზრახვას სისრულეში მოიყვანდეს, დაუყონებლივ მიაწოდოს სიმინდი შიმშილით შეწუხებულ მთიელთა ოჯახებს, რომელნიც დღეს იოლად გადიან ჭინჭრით და სხვა ბალახეულობით.

პედაგოგის ლუარსაბ ბოცვაძის გარდაცვალების გამო.

ქ. ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გიმგეობამ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: ქუთაისის დაბალი სკოლების მასწავლებელთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ცნობილი პედაგოგის, ქართული სახალხო სკოლის მოამაგის და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის უდროოდ დაკარგვის გამო.“

კავშირის თავმჯდომარე **ლადო ბზვანელი**

ივნისის 29 წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს მონასტრის ტაძარში მრავალმ ლოცველთა თანადასწრებით, მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნესტორმა ძმობით გადაიხადა პანაშვიდი ლუარსაბ ბოცვაძის სულის მოსახსენებლად, თან წარმოსთქვა შესაფერისი სიტყვა, რომლითაც გააცნო დამსწრეთ გასვენებულის მოღვაწეობა 30 წლის განმავლობაში.

ინჟინერ ალექსანდრე ცაგარეიშვილის ხსოვნას.

ამა წლის 5 ივლისს, ორმოცი დღე შესრულდა, რაც თბილისში, გამოეთხოვა წუთი სოფელს უფროსი ოსეთისა და ზეკარის სამხედრო გზატკეცილების, ალექსანდრე ცაგარეიშვილი.

განსვენებულ ალექსანდრეს ენერგიულ მუშაობას აღტაცებაში მოჰყავდა მისი თანამოსამსახურენი. მართლაც, მისმა ხუთი თვის მუშაობამ ამ გზატკეცილებზე იმდენათ გააჩაღა სამუშევრები, რომ ოლქის სამმართველოდან იქმნა ნება დართული სხვადასხვა საჭირო გასაკეთებლები, რომელთა საჭირო თანხაც გამოიღო მთავრობამ. გაკეთდა ქუთაისიდან მე-13 ვერსზე მდ. ყვირილაზე ახალი ბორანი და ბორანზე მისასვლელი ხიდი; ოსეთის ზატკეცილის მე-113 ვერსზე მდ. საკაგრაზე დაიწყეს უკვე ახალი ხიდის კეთება. ბევრი სხვა საგულისხმიერო „პროექტები“ მოელოდა ამ გზებზე სასურველ განხორციელებას; მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროოთ გამოგვაცალა ხელიდან ბეჯითი მუშაკი.

ყველაზე შესანიშნავი მისი სამსახურის დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ გზებზე მუშაობის გაწივრულ წიადაგზე დაყენება ემარჯვებოდა: ყოველნაირ ნებადასართველ სამუშევრის გამოწყებაზე იხმარებდა ადგილობრივ სამაზრო ერობის გამგეობათა შემწეობას, რის მეოხებითაც მთავრობასაც დაუგვიანებლათ იყოლიებდა. ასეთი ნაყოფიერი სამსახურის გამო, ამ ცოტა ხნის განმავლობაში დაიმსახურა მუშა-მოსამსახურეთა შორისაც სიყვარული და პატივისცემა.

არ დასცალდა საცოდავს ემსახურნა — სამსახურის გამო თბილისში გამგზავრების დროს გახთა ავათ ტიფით, რამაც იმსხვერპლა.

ძმაო ალექსანდრე, თუ რამდენათ საგრძნობელი გახთა შენი საუკუნოთ გაშორება ამას ნათლათ მოწმობენ ის გულწრფელი მდუღარე ცრემლები, რომლითაც ქვითინობენ შენს გაუბედურებულ დედასთან და შენით დაობლებულ ძმებთან ერთათ შენი მუშა — მოსამსახურენი, მუშა — მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის სახელით საუკუნოთ ვეთხოვები შენს გაცივებულ სხეულს...

შენი ხმოვნა და სიყვარული მუდამ დარჩება ჩვენ შორის.

შ. საყვარელიძე.

ახალი მოედანის საჭიროება სამთო უბანში.

ჩვენს რედაქციას მოუვიდა წერილი ახალი მოედნის დაარსების შესახებ სამთო უბანში კათოლიკეთა ეკლესიის თავისუფალ ადგილზე, ამავე უბნის მცხოვრებთა რწმუნებულ ბ — ნ არ. დალაქიშვილისაგან. სამწუხაროდ, უადგილობის გამო ხსენებულ წერილს ვერ ვათავსებთ. მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ მაინც სამთო უბნის ხუთი რაიონების მცხოვრებთა თხოვნა ქალაქის თვითმართველობის საბჭოს წევრების მიმართ.

ბაზრის შუა ადგილზე მოთავსებული მოედანი ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას თავის სივიწროვის გამო. სამთო უბნის მცხოვრებნი ითხოვენ, რომ ქალაქის თვითმართველობამ მოაწყოს მოედანი ამავე უბანში ივანოვის ქუჩაზე კათოლიკეთა ძველ ეკლესიის ადგილზე, რომელიც ახლა ყანადაა გაშობილი. ამ ადგილზე მოედნის დაარსება დიდად შეუწყობდა ხელს ქალაქის ვაჭრულ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, თვით ქალაქიც გაგანიერდებოდა, დღეს ყველაფერი ცენტრში რომ მოქცეულა. რთგორც ხმებია, ქალაქის გამგეობას ნდომებია ამ ადგილის ბაღად გადაკეთება. თუ ეს მართალია, მცხოვრებნი ითხოვენ რომ მაშინ მოედანი გაიმართოს იქვე „ხარაზოვის ბაღში“ ანდა „ხარაზოვის ბაღი“ გადააკეთონ პარკად, კათოლიკეთა ადგილი კი მოედნად.

ქალაქის გამგეობამ ფრაქციების წარმომადგენლობამ და ყოველ იმ მოქალაქეებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს და მოკლე ხანში მოაგვაროს, რომელიც აგერ რვა წელიწადია რაც განცხადებულია და ჯერაც არ გადაწყვეტილა.

პირველ-დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელთა საყურადღებოთ.

პირველ-დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლების გამგეებს და მასწავლებელთ ძალიან კარგათ მოგეხსენებათ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ჯამაგირების მიღების მხრით. ამ სკოლების მიღებაზე და სუფსიდიის გაცემაზე მთავრობამ უარი განაცხადა. ეს სასწავლებლები სავსებით უნდა შეინახოს ერობამ ან იმ საზოგადოებებმა, სადაც ისინი არსებობენ.

როგორც გადმომცეს, ერობის თავმჯდომარე გვჰირდება, რომ ყველა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელნი დაკმაყოფილებული იქნებიან ჯამაგირებით მომავალ სექტემბრიდან; მანამდის კი მასწავლებლებმა ისე უნდა შემოუარონ თავის თავს, როგორც შესძლებენ. ვინაიდან საქმე ამ მდგომარეობაშია, საჭიროა ყველა გამგეებმა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

ერობამ თუ დააკმაყოფილა მასწავლებლები ჯამაგირებით ხომ კარგი და თუ ვერ მანვე უნდა მიიღოს თავის თავზე ინიციატივა მასწეროს საზოგადოებებს, რომ, თუ კი მათ სურთ ჰქონდეთ საზოგადოებაში აღნიშნული სასწავლებლები. უსათუოდ დააკმაყოფილონ მასწავლებელნი ხვედრი ჯამაგირებით. სხვა გვარად საქმე ვერ მოგვარდება. ეს საშუალება იქნება ყველგან ერთგვარი არევ დარევას არ ექნება ადგილი. ეხლა ისეთი კრიტიკული მდგომარეობაა, რომ ასე ხელ დაჭდობილი გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. მზა-მზარეულს, ჩვენი ხელის გაუნძრეველად არავინ არაფერს მოგვცემს, ვინაიდან ყველას თავისი საქმე აქვს და ჩვენთვის არავის სცალია 20 ამ თვისთვის განზრახულია ქუთაისის მაზრის სახალხო სკოლების მასწავლებელთა საზოგადო ყრილობა სამაზრო კავშირის დაარსების შესახებ. ამ დღისთვის აუცილებლათ საჭირო იქნება ყველა უმაღლეს და დაბალი პირველდაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა ქუთაისში ჩამოსვლა. საზოგადო კრების შემდეგ უმაღლეს დაწყებითი სკოლების მასწავლებელთ შეუძლიათ მოილაპარაკონ თავის ჭირვარამზე, მოიწვიონ ერობის თავმჯდომარე და დაადგენ ერთ გარკვეულ გზას, თორემ ასე გამუდმებულ მდგომარეობაში ყოფნა ყოვლად შეუძლებელია.

მასწ. ი. ნინიკაშვილი.

პასუხის პასუხი

გენ. წინამძღვაროვს.

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ № 117 მოთავსებულია პასუხი გენ. წინამძღვაროვისა. ბ. გენერალს სურს ჩემი წერილი გააქარწყლოს მე მგონია ბ. გენერალო თქვენი პასუხი უფრო ჩქარა არის უსაფუძვლო, სიმართლესთან ძლიერ დაშორებული ჩემს წერილს გზა ახვეული. „ეცოთები ... დავამტკიცო, ბ. გენერალო, რომელ ... ერთი მუხლი ჩემი წერილისა დაარღვეთ თქვენ დარღვევა შეგვიძლია ... პირდაპირი პასუხი? არც ერთს. მაშასადამე ჩემ მიერ თქვენზედ წამოყენებული ბრალდებები რჩებიან ისევ ბრალდებებად და თქვენ ვერ შეძელით ვერც ერთის მათი გაბათილება. რით უპასუხეთ ... უმთავრეს ბრალდებას, რომ 1917 წ. გიმნაზია დაიხურა თქვენის მიზეზით, რომ მასწავლებლები კანონიერ მოთხოვნილების გულისთვის ქუჩაში გაყარეთ? როგორ გააბათილეთ მასწ. კავშირის ძველი გამგეობის თქვენ შესახებ შემდგარი ოქმი? რით ასაბუთებთ იმ თქვენ მიერ ჩადენილ უდიერ საქციელს, რომ თქვე არ მიეცით მასწავლებლებს არც ჯამაგირი და არც ანგარიში და გაიძახოდით „безъ суда не даю ни кому ничего“ ... (იხ. ოქმი კომისარისა). ყველა ამაებს სიჩუმით შეხვდით, და გაიძახდით. „ინსინუაციებია, და ჭეშმარიტებას მოკლებულია. პირიქით თქვენი წერილები წარმოადგენს სრულ ინსინუაციას. რატომ არ ბრძანეთ ბ. გენერალო, სად იყო აურზაური ჩვენს გიმნაზიაში, სად იყო კონფლიქტები მასწავლებლთა შორის? ნუ თუ ეს არ არის ინსინუაცია? თქვენ ბრძანეთ ბ. გენერალო, ეს სასწავლებელი არის კერძო და რა საზოგადო ანუ სახელმწიფო, მაშასადამე ვერავითარი მასწ. კოლეგია, ვერ წაართვეს მის დამაარსებელს იმ უფლებებს, რომელიც მონიჭებული აქვს კანონიოთო“. ნუთუ ის აქვს ამ თქვენს (sic) გიმნაზიას მინიჭებული კანონით, რომ ბ. გენერალმა იმსახურეს მასწავლებლები, როდესაც სურს კოლეგიის სახით როდესაც სურს თვითმყრობლობის სახით და ბოლოს არ მისცეს არც ერთს ჯამაგირი და ყველანი ქუჩაში გაყაროს.

ამ გიმნაზიის დღენი დათვლილია, მაგრამ იცოდე მოწაფეთა და საზოგადოების წინაშე პასუხს თქვენ აგებთ რომ ამ წმინდათა-წმიდა საქმეში ერევით თქვენ და თქვენის ხელებით სვრით მას.

თქვენ ბრძანებთ მე არც ერთ კეკილებისთვის არ მიმართეს. ნუ თუ თქვენ არ ბრძანდებოდით ვექ. ვ. არდიშვილთან და იასონ ნიჟარაძესთან და რა გითხრეს მით. ბეყოფა ბ. გენერალო ამდენი სიცრუე ბოლოს მიგიმართავს ოლქის სასამართლოს ბრალმდებლისთვის სოკოლოვსკის, იობიძის და ჩემზე საჩივრით. დიდი მოხარული ვართ ჩვენ სამნი, რომ უკანასკნელათ მოგვეცით საშვალება სასამართლოს წინაშე გამოვამზეუროთ თქვენი ფიზიანომია. ამით ვსპობ ბ. გენერალო თქვენთან კამათს, რადგან მე დრო არა მაქვს უპასუხო უსაბუთო თქვენ წერილებს,

მასწ. რაჟდენ ჭალაგანიძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია

მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისში მოდის.

თბილისიდან.

პირდაპირი	№ 3 — 5 ს.	და 50 წ.	დილით
ჩქარი	№ 1 — 7	— 80 —	—
საფოსტო	№ 3 — 7 ს.	— 40 —	საღამ.
სამგზავრო	№ 15-1 ს.	— 50 —	ღამით

ბათომიდან.

პირდაპირი	№ 72 — 1 ს.	და 30 წ.	დღით
სამგზავრო	№ 6 — 5 —	— —	დილ.
ჩქარი	№ 2 — 1 —	— 50 წ.	ღამ.

ფოთიდან.

პირდაპირი	№ 36 — 8 ს.	და 28 წ.	დილ.
საფოსტო	№ 4 — 12 ს.	— 55 წ.	—

ტყიბულიდან.

სამგზავრო	№ 81 — 10 ს.	და 20 წ.	დილ.
საფოსტო	№ 3 — 5 ს.	— 30 წ.	საღ.

ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.

პირდაპირი	№ 12 — 11 ს.	და 47 წ.	საღამ.
ჩქარი	№ 2 — 10 ს.	და 2 წ.	საღამ.
საფოსტო	№ 4 — 10 ს.	— 10 წ.	დილ.
სამგზავრო	№ 6 — 3 ს.	— 17 წ.	ღამით

ბათომისაკენ.

პირდაპირი	№ 44 — 4 ს.	და 40 წ.	დღით
სამგზავრო	№ 5 3 ს.	— 30 წ.	ღამით
ჩქარი	№ 1 — 6 ს.	— —	წ. დილ.

ფოთისაკენ.

პირდაპირი	№ 35 — 3 ს.	და 25 წ.	დღით
საფოსტო	№ 3 — 5 ს.	და 50 წ.	დილ,

ტყიბულისაკენ.

საფოსტო	№ 4 — 7	საათზე	დილას.
სამგზავროს	№ 82 —	4 წ.	საღამოს.

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.